

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო  
საბიუჯეტო კომისიის სხდომის  
ოქმი №74**

12 ივლისი 2024 წ.  
12:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ავთანდილ ცინცაძე, აკაკი ალადაშვილი, მიხეილ კაკაურიძე.

**მოწვეული სტუმრები:**

საფინანსო საქალაქო სამსახური - გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა

სსიპ ქონების მაქროტვის სააგენტო- მარიამ კვერნაძე

შპს „თბილისერვის ჯგუფი“ - დავით ჩანქსელიანი.

თბილისის განვითარების ფონდი- ქვარა ჩართოლანი

**სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.**

**კომისიის სხდომა უფლებამოსილია.**

**სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.**

**დღის წესრიგი**

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე. **საკრ.№12-032419312-03 11/07/24**

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. **№11-01241841093 საკრ.№15-032418486-03 (2/07/24) ; №11-0124191192 საკრ.№15-03241918-03 (9/07/24); №11-0124192636 საკრ.№15-03241934-03 (11/07/24)**

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, სასესხო შეთანხმების ხელმისაწვდომობის ვადის გახანგრძლივებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე. **საკრ.№12-032419160-03 9/07/24**

4. „ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9-ში არსებული 76.20 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.032) და 76.20 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.042) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 13 მარტის N24.396.454 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“. **საკრ.№12-03241691-03 17/06/24**

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებებით განსაზღვრული სარგებლობის საფასურის ოდენობის გადახედვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 ივნისის №24.1068.1209 განკარგულებით გათვალისწინებული საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032417891-03 27/06/24**

6. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N3-ში, კორპუს N1-ში, (საკადასტრო კოდი: N01.16.02.002.011.01.022) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ.№12-032417047-03 19/06/24; საკრ.№12-032417048-03 18/06/24**

7. „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. **საკრ.№12-032417048-03 18/06/24**



8. ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი II, N3-ში არსებული 70.59 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.013.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-03241692-03 17/06/24**
9. ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის I შესახვევი N8-ში არსებული 28.28 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.11.007.039.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-03241692-03 17/06/24**
10. „ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-03241695-03 17/06/24**
11. „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **საკრ.№12-032418479-03 2/07/24**
12. ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გიორგი სააკაძის ქუჩა N30-ში არსებული 38.91 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.01.503) და 46.52 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032419354-03 11/07/24**
13. ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N67-ში არსებული 96.63 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.074.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032419354-03 11/07/24**
14. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი IV, კორპუსი N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.023.007) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№12-032419352-03 11/07/24**
15. ქ. თბილისში, დაბა კოჯორში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.28.026.005) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე. **საკრ.№12-032417030-03 18/06/24**
16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „აბგრეიდ ქონსტრაქშენს“ (ს/ნ: 405542024) შორის 2023 წლის 11 იანვარს გაფორმებული „ქ. თბილისში, პეტრე იბერის შესახვევი N13-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.10.06.001.292 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3000 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთისა და N01.10.06.001.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული 688 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (წინა საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.261), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისგან, შპს „აბგრეიდ ქონსტრაქშენს“ (ს/ნ: 405542024) უფლებამონაცვლე, შპს „ბლოქსი თავდადებულზე“ (ს/ნ: 405626997) გათავისუფლების თაობაზე. **საკრ.№12-032417186-03 20/06/24**
17. შპს „ათორის“ (ს/ნ. 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №36-ში და მის მიმდებარედ, №01.10.10.007.061, №01.10.10.007.080 და №01.10.10.007.081 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჯამურად 16871 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთების ინტერესთა გამოსატყაობაში გამარჯვებული პირის - შპს „ნ.გ.ბ.“-ისათვის (ს/ნ. 405193678), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ. **საკრ.№12-032418532-03 3/07/24**
18. „ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი შეთანხმების პროექტის პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 მაისის №233 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“. **საკრ.№12-032419261-03 10/07/24**



19. „ ქალაქ თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბნის IIა, კორპუსი N27-ის მიმდებარედ, N01.17.06.014.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7 035 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ახალი ვაზისუბნისთვის“ (ს/ნ: 405675899), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“**საკრ.№12-032419260-03 10/07/24**

20. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის N128-142-ის მიმდებარედ არსებული 756 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.13.08.009.074) 3 კვ.მ საერთო ფართობის ორი მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კაფე საფორესთვის“ (ს/ნ 204550057) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032418540-03 3/07/24**

21. ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი N10-ის მიმდებარედ არსებული 400 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.476) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032418538-03 3/07/24**

22. ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N115-ის მიმდებარედ არსებული 184 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.10.002.014) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032419353-03 11/07/24**

23. ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N19-ის მიმდებარედ/ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N15-21-ის მიმდებარედ 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.007.061) პირდაპირი განკარგვის წესით ბესიკ მემანიშვილისთვის (პ/ნ: N01003015002) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032408754-03 8/07/24**

24. ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.030) 50 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ქ.თბილისში, ფხოვის ქუჩა N6-ის მიმდებარედ არსებული 51 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.038) 46 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჰანი ჰაივისთვის“ (ს/ნ: 405672375) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032408754-03 8/07/24**

25. ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა N27-ის მიმდებარედ არსებული 319 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდ; N01.18.03.044.017) 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვინეროსთვის“ (ს/ნ: 405573062) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.**საკრ.№12-032408754-03 8/07/24**  
**დღის წესრიგი დამტკიცდა.**

**მოისმინეს:** "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.

**მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე**

**გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლების, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულებით (N980 10.07.2024წ) გამოყოფილი სახსრების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილის გათვალისწინებით, რომლის თანახმად გადასახადების ნაწილში იზრდება ქონების გადასახადი - 20 000,0 ათასი ლარით და დამატებული ღირებულების გადასახადი - 10 000,0 ათასი ლარით, გრანტების ნაწილში იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 73,0 ათასი ლარით (ევროკავშირის საგრანტო ხელშეკრულების „ევროკავშირის გარე მოქმედებები“ ENI/2017/394-803 პირობების შესაბამისად საბოლოო ანგარიშსწორება) და სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები (კაპიტალური - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები) - 12 000,0 ათასი ლარით, სხვა შემოსავლების ნაწილში იზრდება პროცენტები - 300,0 ათასი ლარით და სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 5 000,0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები - 1 083,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 48 456,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 058 335,6 ათას ლარს.



ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 6 300,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) - 1 400,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) - 700,0 ათასი ლარით, გზების მოვლაშეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) - 100,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) - 500,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) - 500,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) - 500,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) - 1 250,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) - 400,0 ათასი ლარით, გზების მოვლაშეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) - 1 000,0 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდიის (კოდი 01 02 05) - 4 400,0 ათასი ლარით, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) პროგრამის ასიგნებები - 3 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) ქვეპროგრამის ასიგნებები - 380,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) - 1 300,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) - 1 200,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) - 850,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის 2 ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) - 250,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) - 1 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 1 250,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) - 500,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) - 500,0 ათასი ლარით, ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) პროგრამის ასიგნებები - 5 000,0 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) - 2 000,0 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) - 73,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 000,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) - 700,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) - 300,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) - 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) - 1 800,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) - 1 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) - 900,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) - 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) - 500,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 16 08) - 200,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 16 10) - 40,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 16 12) - 50,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 16 14) - 300,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) - 220,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) - 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) - 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) - 110,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) - 200,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) - 200,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) - 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) - 100,0 ათასი ლარით, ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა (კოდი 08 04 03) - 100,0 ათასი ლარით, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) - 200,0 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) - 650,0 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) - 300,0 ათასი ლარით, ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) პროგრამის ასიგნებები - 350,0 ათასი ლარით, სსიპ ქონების მართვის სააგენტო (კოდი 10 21) - 3 000,0 ათასი ლარით. ამასთან, ბიუჯეტით განსაზღვრული ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი ქვეპროგრამა: სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის ხელშეწყობა (კოდი 06 01 09) - 83,0 ათასი ლარის ოდენობით.



## მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

### მომხსენებელი- ლევან მიქავა

**ლევან მიქავას მოხსენებით,** იზრდება მესამე კვარტლის გეგმა „კეთილმოწყობის ღონიშუბლები ვაკის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 14)- 73 000 ლარით, „გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 15) – 500 000 ლარით.

ასევე წარმდგენილი წლიური გეგმის ცვლილება შემდეგ ქვეპროგრამებში: „უფასო სასადილოებით მომსახირობა“ (პროგ/კოდი 06 02 14 14) -იზრდება 4042 ლარით, „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები“ (პროგ/კოდი 06 02 18 15)- იზრდება 69 904 ლარით, მცირდება „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები“ (პროგ/კოდი 06 02 16 15)- 73 946 ლარით.

ასევე იზრდება წლიური გეგმა „გზების მოვლა შეკეთება სამგორის რაიონში „ (პროგ/კოდი 01 01 15)- 1 000 000 ლარით, შესაბამისად მცირდება „გზების მშენებლობა და აღდგენა“ (პროგ/კოდი 01 01 01) -1 000 000 ლარით.

ლევან მიქავამ ჩამოთვალა კონკრეტული ქუჩების, რომლის მოწყობა-რეაბილიტაციასა გეგმავს სამგორის გამგეობა.

## მომხრე-6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახური და კრწანისის, სამგორის და მთაწმინდის რაიონული გამგეობები ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა უმრავლესობამ დააწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

**მოისმინეს:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, სასესხო შეთანხმების ხელმისაწვდომობის ვადის გახანგრძლივებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

### მომხსენებელი-დავით ჩანქსელიანი

დავით ჩანქსელიანის განმარტებით, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2021წლის 9 სექტემბერს „თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტთან დაკავშირებით“ გაფორმდა სასესხო შეთანხმება 9 600 000 ევროზე. პროექტთან დაკავშირებით 2021 წლის 10 სექტემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ხელი მოეწერა პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებას, ხოლო შპს „თბილისერვის ჯგუფს“ და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს (EBRD) შორის პროექტის განხორციელების ხელშეკრულებას. რის შემდგომაც აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისერვის ჯგუფი“-ს შორის 2021 წლის 22 ნოემბერს ხელი მოეწერა ქვესასესხო ხელშეკრულებას. სასესხო შეთანხმების შესაბამისად, სასესხო ხელმისაწვდომობის ვადა იწურება 2024 წლის 9 სექტემბერს და აუცილებელია განხორციელდეს მიმართვა ფინანსთა სამინისტროსთან რათა, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკმა (EBRD), შეთანხმების შესაბამისად გამოიჩინოს ინიციატივა და მოხდეს სასესხო შეთანხმების ხელმისაწვდომობის 2 წლის ვადით გახანგრძლივება. თბილისის



მუნიციპალური სერვისების პროექტი ორ კომპონენტია და მოიცავს: ნარჩენების შემგროვებელი სატვირთო მანქანების, სპეციალური ტექნიკის და სატვირთო მანქანების შესყიდვას (ჯამსი 65 ერთეული) და მარშუტების მენეჯმენტის პროგრამულ უზრუნველყოფას. პირველი კომპონენტის ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი პროცედურები გლობალური პანდემიის გამო 2021-2022 წლების პერიოდში გარკვეული პერიოდით შეყვინდა. გარდა ამისა, შესასყიდი სპეც-ტექნიკის რაოდენობიდან გამომდინარე, კონსულტანტების მხრიდან ტექნიკური მახასიათებლების შემუშავების პროცესი ხანგრძლივ პროცედურებთან და ხანგრძლივ პერიოდთან იყო დაკავშირებული. შესაბამისად, სატენდერო პროცედურების კვალიფიციურად და სრულყოფილად მომზადების პროცესი 2023 წლის დასაწყისამდე გაგრძელდა. სპეც-ტექნიკის შესყიდვის მიზნით ტენდერი გამოცხადდა 2023 წლის 8 მაისს. 2023 წლის 8 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება ტენდერში გამარჯვებულ (ორივე ლოტზე), კომპანია შპს “ჯი-თი ჯგუფი“-თან (ს/ნ 200119923). კონტრაქტის საერთო ღირებულებამ შეადგინა 9,565,200 ევრო, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნა 65 ერთეული სპეც-ტექნიკის მოწოდება. 2023 წლის 15 სექტემბრიდან მოყოლებული შპს “ჯი-თი ჯგუფი“-ის მიერ მოწოდებულ იქნა 28 ერთეული სპეც-ტექნიკა, ხოლო დარჩენილი რაოდენობის მოწოდება სრულად განხორციელდება მიმდინარე წლის განმავლობაში. რაც შეეხება სესხის მეორე კომპონენტს, მარშრუტების მენეჯმენტის პროგრამულ უზრუნველყოფას, გამომდინარე იქიდან, რომ მისი დაწყება დამოკიდებულია სესხის პირველი კომპონენტის დასრულებაზე, პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადამაც შესაბამისად გადაიწია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტი საჭიროებს დამატებითი სამუშაოების განხორციელებას, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ გონივრულ ვადებთან არის დაკავშირებული, ხოლო აღნიშნული სესხის ხელმისაწვდომობის ბოლო ვადა 2024 წლის 9 სექტემბერია, შესაბამისად, მიზანშეწონილია სასესხო შეთანხმების ხელმისაწვდომობის 2 წლის ვადით გახანგრძლივება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 8 ივლისის #24.1173.1320 განკარგულების შესაბამისად, საკითხი შესათანხმებლად წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში და ითვალისწინებს „თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტთან დაკავშირებით“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში.

#### **მომხრე-6**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს** „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, სასესხო შეთანხმების ხელმისაწვდომობის ვადის გახანგრძლივებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ საკითხის **საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდენო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა მარიამ კვინაძემ.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9-ში არსებული 76.20 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.032) და 76.20 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.042) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 13 მარტის N24.396.454 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“.

**მარიამ კვინაძის მოხსენებით,** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით მუნიციპალიტეტისათვის გადაცემული ქონების პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N87-82 დადგენილების დანართით დამტკიცებული წესის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „პილარ ჯგუფი - კრწანისი“-ს (ს/ნ: 406282240) შორის 2021 წლის 4 ნოემბერს დადებული „ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის“ საფუძველზე, „ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9-ში არსებული 76.20 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.032) და 76.20 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.042) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 13 მარტის N24.396.454 განკარგულებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9, სართული 7, ბინა N32-ში არსებული 76.20 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.032) და ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9, სართული 8, ბინა N42-ში არსებული 76.20 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი:



N01.17.10.013.001.01.07.042) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ირინე ოთარაშვილისთვის (პ/ნ: 35001105030) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

ამასთან, სააგენტოში კომპანიის მიერ 2024 წლის 13 მაისს და 2024 წლის 30 მაისს წარდგენილი წერილებით, სააგენტოსთვის ცნობილი გახდა, რომ მოქალაქე ირინე ოთარაშვილიმა (პ/ნ: 35001105030) დაკარგა ინტერესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.17.10.013.001.07.032 და N01.17.10.013.001.07.042 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. შესაბამისად, გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9-ში არსებული 76.20 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.032) და 76.20 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.042) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 13 მარტის N24.396.454 განკარგულება გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

#### **მომხრე-6**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებებით განსაზღვრული სარგებლობის საფასურის ოდენობის გადახედვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 ივნისის №24.1068.1209 განკარგულებით გათვალისწინებული საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**მარიამ კვარნაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ სხვა და სხვა წლებში გაფორმებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლების გადაცემის თაობაზე სასყიდლიანი ხელშეკრულებები.

იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლების განმავლობაში შეცვლილია ეკონომიკური პირობები, ასევე, ეროვნულმა ვალუტამ განიცადა ინფლაცია და გაზრდილია მიწის საბაზრო ფასი, ამასთან, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში, სარგებლობის საფასურის ოდენობის გაზრდას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ 2024 წლის 17 ივნისს გამოსცა №24.1068.1209 განკარგულება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებებით განსაზღვრული სარგებლობის საფასურის ოდენობის გადახედვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“, რომლითაც სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დაევალა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე გაფორმებული მოქმედი ხელშეკრულებებით განსაზღვრული სარგებლობის საფასურის ოდენობის გადახედვისა და სარგებლობის ახალი საფასურის დადგენის მიზნით, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება იმ სარგებლობის ხელშეკრულებებთან (დაახლოებით 66 ხელშეკრულება) მიმართებით, რომლებიც გაფორმებულია 2012 წლამდე და ხელშეკრულებით დარჩენილი სარგებლობის ვადა არანაკლებ სამი წელია ზემოაღნიშნული განკარგულების გამოცემის დღიდან. კერძოდ, სააგენტო მიმართავს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს სარგებლობის ახალი საფასურის დადგენის მიზნით, რის შემდეგაც მოსარგებლეს გაეგზავნება შეთავაზება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის/სარგებლობის პირობებში ცვლილების გაუფორმებლობის შემთხვევაში სააგენტო იმსჯელებს სარგებლობის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

#### **მომხრე-6**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N3-ში, კორპუს N1-ში, (საკადასტრო კოდი: N01.16.02.002.011.01.022) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

**მარიამ კვარნაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N3-ში, კორპუს N1-ში, მე-9 სართულზე არსებული 65.734 კვ.მ ფართის ბინა N22-ი (საკადასტრო კოდი: N01.16.02.002.011.01.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ვოლენა ვახანიას (პ/ნ



01030045943), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობებით დასტურდება, რომ ვოლენა ვახანია ოჯახთან ერთად დაახლოებით 50 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ვოლენა ვახანია მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 1973 წლიდან.

**მომხრე-6**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

**მარიამ კვერნაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა იმ პირებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 4 პირს (4 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემა მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები, კერძოდ: მალხაზი საჯაია (პ/ნ 39101047149) დაკავებული ფართი - 37.06 კვ.მ; არჩილ ბატიაშვილი (პ/ნ 01027023387) დაკავებული ფართი - 59.02 კვ.მ; დალი ბლიაძე (პ/ნ 57001009031) დაკავებული ფართი - 31.21 კვ.მ და შალვა ხარებავა (პ/ნ 39101045274) დაკავებული ფართი - 35.85 კვ.მ

აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 163.14 კვ.მ ფართი

შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ შემოაღნიშნული პირები ოჯახებთან ერთად 2012 წლიდან ოჯახებთან ერთად ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

**მომხრე-6**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი II, N3-ში არსებული 70.59 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.013.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**მარიამ კვერნაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ჩიხი II, N3, ბინა N4-ში არსებული 70.59 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.013.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ზაურ მიქელაძეს (პ/ნ: 01017035502). შსს ცნობით დგინდება, რომ მოქალაქე ზაურ მიქელაძე 1990 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე; მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დგინდება. რომ მოქალაქე ზაურ მიქელაძე 2022 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

**მომხრე-6**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის I შესახვევი N8-ში არსებული 28.28 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.11.007.039.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**მარიამ კვერნაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის I შესახვევი N8, პირველ სართულზე არსებული 28.28 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.11.007.039.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე სოფიო გვიანიძეს (პ/ნ: 38001013070). სოფიო გვიანიძე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ 2012 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით დასტურდება, რომ 2012 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

**მომხრე-6**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**



**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**მარიამ კვერნაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 2 პირს (ოჯახს), რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 2 პირს (2 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემა მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები, კერძოდ: ავთანდილ ონიანი (პ/ნ 2700000908) დაკავებული ფართი - 67.85 კვ.მ და ლევან ბახტურიძე (პ/ნ 54001018091) დაკავებული ფართი - 100.76 კვ.მ

აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 168.61 კვ.მ ფართი

შსს-ს ცნობებით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული პირები ოჯახებთან ერთად 12 -14 წელია ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე; ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ავთანდილ ონიანი 2010 წლიდან ხოლო ლევან ბახტურიძე 2008 წლიდან ოჯახებთან ერთად ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

**მომხრე-6**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” .

**მარიამ კვერნაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 2 პირს (ოჯახს), რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 2 პირს (2 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემა მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები, კერძოდ: ციციანო ბიგანოვი (პ/ნ 24001002884) დაკავებული ფართი - 43.96 კვ.მ და ვალერიანი ცოფურაშვილი (პ/ნ 12001086389) დაკავებული ფართი - 17.67 კვ.მ

აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 61.63 კვ.მ ფართი

შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული პირები ოჯახებთან ერთად 2012 წლიდან ოჯახებთან ერთად ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

**მომხრე-6**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გიორგი სააკაძის ქუჩა N30-ში არსებული 38.91 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.01.503) და 46.52 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**მარიამ კვერნაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გიორგი სააკაძის ქუჩა N30, შენობა N1-ში არსებული 38.91 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.01.503) და ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გიორგი სააკაძის ქუჩა N30, სართული 2, შენობა N1-ში არსებული 46.52 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ლენა ჭუნაშვილს (პ/ნ: 01001030720, რომელიც შსს-ს ცნობებით დასტურდება და მეზობლის ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ 1984 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

**მომხრე-6**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N67-ში არსებული 96.63 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.074.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.



**მარიამ კვერნაძის მოხსენებით**, ქალაქ თბილისში, საინჟინო ქუჩა N67, პირველ სართულზე არსებული 96.63 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.074.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნუგზარ თათარაშვილს (პ/ნ: 24001025957) , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს) ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე ნუგზარ თათარაშვილი (პ/ნ: 24001025957) 2004 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. ხოლო მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით დასტურდება, რომ მოქალაქე 2003 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

**მომხრე-6**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი IV, კორპუსი N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.023.007) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას თანხმობა ეძლევა, „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მასივი 3, კვარტალი 4, კორპუსი N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.023.007) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი/კომერციული ფართები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე, მშენებლობის განმახორციელებელი პირისთვის შპს „ბკ ქონსტრაქშენისთვის“ (ს/ნ 404537809) ავარიული კორპუსის ჩანაცვლების და შემდგომში მშენებლობის განხორციელების მიზნით.“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის N24.1192.1323 განკარგულების დანართით გათვალისწინებული, უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი IV, კორპუსი N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.023.007) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართები) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა შპს „ბკ ქონსტრაქშენისთვის“ (ს/ნ 404537809), განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის პირობების შესაბამისად.

საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა: 1 კვ.მ მშენებარე კომერციული ფართის საბაზრო ღირებულება თეთრი კარკასის მდგომარეობით 2 116 (ორი ათას ას თექვსმეტი) ლარით, ხოლო 1 კვ.მ მშენებარე საცხოვრებელი ბინის (თეთრი კარკასის მდგომარეობა) საბაზრო ღირებულება 2 020 (ორი ათას ოცი) ლარით და აღნიშნული ჩაითვლება გადახდილად მშენებლობის განმახორციელებელი პირის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ შესრულებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისი ოდენობით.

**მომხრე-6**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, დაბა კოჯორში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.28.026.005) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

**მარიამ კვერნაძის მოხსენებით**, შესათანხმებლად წარმოდგენილია განკარგულების პროექტი, „ქ. თბილისში, დაბა კოჯორში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.28.026.005) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 ივნისის N24.1061.1195 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ქ. თბილისში, დაბა კოჯორში არსებული 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: N01.81.28.026.005) გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით (31 800 ლარი) პრივატიზებაზე, მანანა ქავთარაძის (პ/ნ: 01026000942) საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, თბილისის ზღვაზე (დიდ ყურესა და ზღვას შორის არსებული ნახევარკუნძული) არსებული 1 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: N01.12.21.001.031) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

**მომხრე-6**



**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „აბგრეიდ ქონსტრაქშენს“ (ს/ნ: 405542024) შორის 2023 წლის 11 იანვარს გაფორმებული „ქ. თბილისში, პეტრე იბერის შესახვევი N13-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.10.06.001.292 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3000 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთისა და N01.10.06.001.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული 688 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (წინა საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.261), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისგან, შპს „აბგრეიდ ქონსტრაქშენს“ (ს/ნ: 405542024) უფლებამონაცვლე, შპს „ბლოქსი თავდადებულზე“ (ს/ნ: 405626997) გათავისუფლების თაობაზე.

**მარიამ კვრნაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 13 ივნისის N24.1016.1146 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია თანხმობის მისაღებად საკითხი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/ მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „აბგრეიდ ქონსტრაქშენს“ (ს/ნ: 405542024) შორის 2023 წლის 11 იანვარს გაფორმებული „ქ. თბილისში, პეტრე იბერის შესახვევი N13-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.10.06.001.292 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3000 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთისა და N01.10.06.001.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული 688 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (წინა საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.261), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულების 3.1. და 3.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1. პუნქტის შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან, 52 500 ლარის ოდენობით, შპს „ბლოქსი თავდადებულზე“ (ს/ნ: 405626997) გათავისუფლების თაობაზე.

#### **მომხრე-6**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** შპს „ათორის“ (ს/ნ. 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №36-ში და მის მიმდებარედ, №01.10.10.007.061, №01.10.10.007.080 და №01.10.10.007.081 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჯამურად 16871 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთების ინტერესთა გამოსატყვამი გამარჯვებული პირის - შპს „ნ.გ.ბ.“-ისათვის (ს/ნ. 405193678), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ.

**მარიამ კვრნაძის მოხსენებით,** თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2023 წლის 26 დეკემბრის №19 ოქმის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 დეკემბრის №23.2154.2403 განკარგულების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №643 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.tbilisi.gov.ge](http://www.tbilisi.gov.ge)) 2023 წლის 29 დეკემბრიდან 2024 წლის 09 თებერვლის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოსატყვა „შპს „ათორის“ (ს/ნ: 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქ. №36-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16871 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (ს.კ: №01.10.10.007.061, №01.10.10.007.077 და №01.10.10.007.051) კონკურენტული შერჩევის წესით პრივატიზებისა და მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობანაგებობების მშენებლობის თაობაზე“.



მომხსენებლის განმარტებით, ინტერესთა გამოხატვის საგანს წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ, ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქ. №36-ში და მის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 16 871 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და პარკის მშენებლობის განხორციელება და განხორციელებული მშენებლობის ფარგლებში აშენებული შენობა-ნაგებობ(ებ)იდან უპირატესად შპს „ათორის (ს/ნ: 405077633) მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული შესაბამისი პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის გამოვლენის კრიტერიუმს წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვის პირობებით გათვალისწინებული ქონების მიმღები პირებისათვის საკუთრებაში გადასაცემი ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების ჯამური ფართობის ყველაზე დიდი ოდენობის შეთავაზება, რომელიც არ უნდა იყოს 8 000 (რვა ათასი) კვ.მ.-ზე ნაკლები. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ნ.გ.ბ.“ (ს/ნ 405193678), რომლის მიერ შეთავაზებული ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების ჯამური ფართობი (აივნის ფართობის გათვალისწინების გარეშე) შეადგენს 8 050 კვ.მ.-ს. ინტერესთა გამოხატვის პირობების შესაბამისად, კომპანიამ სააგენტოში წარმოადგინა უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია 6 000 000 ლარის ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის მიერ შესაბამისი იმპლემენტაციის ხელშეკრულების გაფორმებას და ინტერესთა გამოხატვის პირობებითა და ხელშეკრულებით ნაკისრი შესაბამისი ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინტერესთა გამოხატვის შედეგების საფუძველზე, იგეგმება კომპანიასთან შესაბამისი იმპლემენტაციის ხელშეკრულების გაფორმება, შესაბამისი საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების პირობით, საპრივატიზებო ქონების კომპანიის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. საპრივატიზებო ქონებას წარმოადგენს შემდეგი მიწის ნაკვეთები: · ს/კ: 01.10.10.007.061 – 15229 კვ.მ. · ს/კ: 01.10.10.007.080 – 1457 კვ.მ. · ს/კ: 01.10.10.007.081 – 185 კვ.მ. საპრივატიზებო ქონების განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის ჯამური საანგარიშო ფართობი შეადგენს არაუმეტეს 46 000 კვ.მ.-ს, ხოლო შესაბამისი კ2 კოეფიციენტის მაჩვენებელი განისაზღვრება განაშენიანების რეგულირების გეგმით. საპრივატიზებო ქონებიდან სულ მცირე 3500 (სამი ათას ხუთასი) კვ.მ. ფართობის ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს კონცენტრირებული და საჯარო სარეკრეაციო სივრცე - პარკი , რომლის მდებარეობა და კონფიგურაცია განისაზღვრება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. პარკის მიერ ათვისებული მიწის ნაკვეთის შესაბამისი ნაწილი არ ჩაითვლება სამშენებლო კოეფიციენტების ანგარიშში. საპრივატიზებო საფასური განისაზღვრება სიმბოლური 1 (ერთი) ლარის ოდენობით, ხოლო გადასაცემი ფართობის ფართობი, ინტერესთა გამოხატვის შედეგების გათვალისწინებით, განისაზღვრება 8050 კვ.მ.-ის ოდენობით. პროექტის ფარგლებში გადასაცემი ფართობის გადაცემა უნდა განხორციელდეს ე.წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობით. გადასაცემი ფართები თავდაპირველ დარეგისტრირდება მუნიციპალიტეტის საკუთრებად, ხოლო შემდგომ, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია აღნიშნული ფართები გადასცეს სხვა პირებს - უპირატესად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის მიერ განსაზღვრულ, შპს „ათორის“ მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ შესაბამის პირებს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას თანხმობა ეძლევა „შპს „ათორის“ (ს/ნ. 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №36-ში და მის მიმდებარედ, №01.10.10.007.061, №01.10.10.007.080 და №01.10.10.007.081 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჯამურად 16871 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთების ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნ.გ.ბ.“-ისათვის (ს/ნ. 405193678), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 28 ივნისის №24.1125.1287 განკარგულებით გათვალისწინებული ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №36-ში და მის მიმდებარედ, №01.10.10.007.061, №01.10.10.007.080 და №01.10.10.007.081 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჯამურად 16 871 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთების ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნ.გ.ბ.“-ისათვის (ს/ნ. 405193678) სიმბოლურ თანხად - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, პირდაპირი განკარგვის წესით, განსაზღვრული საპრივატიზებო პირობებით პრივატიზებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის აღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

**მომხრე-6**



**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** „ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი შეთანხმების პროექტის პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 მაისის №233 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

**მარიამ კვინაძის მოხსენებით,** „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1 სექტემბრის N21.1184.1346 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N393 განკარგულებების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს /მათ უფლებამონაცვლებსა და ინტერესთა გამომხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ სს „გრინ ქეფიტალს“ (ს/ნ: 405447903) შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმდა „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში / ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103 443 კვ.მ) (წინა საკადასტრო კოდები: 01.14.06.003.058; 01.14.06.003.003; 01.14.06.003.004; 01.14.06003.060; 01.14.06.006.127) და 01.14.06.006.131 (ფართობი - 15 720 კვ.მ) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის / მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფიტალისთვის“ (ს/ნ: 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება, რომლის თანახმად კოოპერატივის წევრებმა, ზემოხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სააგენტოს, ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ნაფეტვრები 2021“-სა და კომპანიას შორის 2023 წლის 20 ივნისს გაფორმდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და სს „გრინ ქეფიტალს“ (ს/ნ: 405447903) შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში / ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103 443 კვ.მ) (წინა საკადასტრო კოდები: 01.14.06.003.058; 01.14.06.003.003; 01.14.06.003.004; 01.14.06003.060; 01.14.06.006.127) და 01.14.06.006.131 (ფართობი - 15 720 კვ.მ) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის / მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფიტალისთვის“ (ს/ნ: 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ შეთანხმება, რის საფუძველზეც გაიზარდა მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებისა და მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადები. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 3 მაისის N23.625.709; N23.622.714 და საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N205; N206 განკარგულებებით დამტკიცდა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში / ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N01.14.06.006.131; N01.14.06.004.002-ის ნაწილი) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა და გრგ-ში წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით დაზუსტდა მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი



ფართის ოდენობა. კერძოდ, გრგ-თი განისაზღვრა, რომ ჯამში მუნიციპალიტეტს და კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებულ წევრებს გადაეცემათ **9 689.5 კვ.მ ფართი** (საიდანაც 7 550 კვ.მ - კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებული წევრებს, ხოლო **2 139 კვ.მ** - მუნიციპალიტეტს).

სააგენტოსა და სს „გრინ ქეფიტალს“ (ს/ნ: 405447903) შორის 2023 წლის 2 ოქტომბერს **2 219.4 კვ.მ** ფართის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემასთან დაკავშირებით გაფორმდა უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება..

მუნიციპალიტეტსა და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიის მიერ **2 219.4 კვ.მ** ფართობის შესაბამის ინდივიდუალურ ფართებზე დარეგისტრირდა მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლება, რის შემდეგაც სააგენტომ მიზანშეწონილად ჩათვალა მუნიციპალიტეტსა და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მუნიციპალიტეტისთვის გადაცემული მშენებარე ფართის კოოპერატივის წევრებისთვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიერ სახელმწიფო-საშინაო ვალზე უარის თქმის სანაცვლოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირისებთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 1 მაისის №24.762.847 განკარგულების საფუძველზე, კოოპერატივის რამდენიმე წევრს გადაეცა ზუსტად იმ ფართობის ბინა, რაც უნდა გადასცემოდათ ფინანსთა სამინისტროს ბაზაში მითითებული ინფორმაციის მიხედვით (არაუმეტეს 1 კვ.მ-ით მეტი), შესაბამისად, მათ მიმართ საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა სიმბოლური თანხის - 1 (ერთი) ლარის გადახდის ვალდებულება, ხოლო რამდენიმე პირს გადაეცა ფინანსთა სამინისტროს ბაზაში მითითებულ ფართობზე მეტი ფართი, შესაბამისად, მათ მიმართ განისაზღვრა საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულება, ფართებს შორის არსებული სხვაობის საბაზრო ღირებულების ოდენობით.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 4 აპრილის N5002030124 დასკვნის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქ. №61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაში მდებარე 1 კვ.მ ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება 2024 წლის 2 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, განისაზღვრა **3 228 ლარით**.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული განკარგულების საფუძველზე, საკუთრების უფლება ცალკეულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე გადაეცა ჯამში **11 პირს** საპრივატიზებო საფასურით 1 (ერთი) ლარის ოდენობით, ხოლო **8 პირს** - ფართებს შორის არსებული სხვაობის საბაზრო ღირებულების ოდენობით, - ჯამურად **111 140 ლ** (თითოეულზე 4 842 ლ - 21 885.84 ლ-ის ფარგლებში).

აღნიშნული განკარგულების გამოცემის შემდეგ, გამოიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 მაისის №233 განკარგულება და მხარეების შეთანხმების ხელმოწერამდე, სააგენტოსთვის ცნობილი გახდა ის ფაქტი, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში კომპანიის მიერ ცალმხრივად დაკორექტირდა საჯარო რეესტრში წარდგენილი ინდივიდუალური ფართების განაწილების ოქმის პროექტი ე.წ „განშლა“, რის საფუძველზეც ზემოაღნიშნული განკარგულებებით გათვალისწინებულ რამდენიმე ბინას შეეცვლა ფართობი, **0.5 - 0.8 კვ.მ-ის ფარგლებში**, რაც აისახა საპრივატიზებო საფასურის ცვლილებაზეც.

შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა საკრებულოს შესათანხმებლად წარუდგენს პროექტს „ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების



თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 1 მაისის №24.762.847 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

#### **მომხრე-6**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** „ ქალაქ თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბნის IIა, კორპუსი N27-ის მიმდებარედ, N01.17.06.014.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7 035 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ახალი ვაზისუბნისთვის“ (ს/ნ: 405675899), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“

**მარიამ კვერნაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით 2023 წლის 15 დეკემბრიდან 2024 წლის 22 იანვრის ჩათვლით, გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა , რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის ქ. თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბნის IIა, კორპუსი N27-ის მიმდებარედ, N01.17.06.014.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 7 035 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ2) განისაზღვრა არაუმეტეს 5.0-ით, ხოლო ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტების მიერ გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 3 550 კვ.მ-თ. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ჯივიაი მოტორს ჯორჯია“ (ს/ნ: 400210758).

შპს „ჯივიაი მოტორს ჯორჯიამ“ 2024 წლის 19 თებერვალს N10/0124050756-61 განცხადებით/მისი დანართით სააგენტოში წარადგინა კანონით დადგენილი წესით შედგენილი და ნოტარიულად დამოწმებული (გაფორმებული) შეთანხმება (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N240193672), რომლის მიხედვითაც, შპს „ჯივიაი მოტორს ჯორჯიამ“ (ს/ნ: 400210758) განაცხადა თანხმობა, რომ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის უფლებები და ვალდებულებები სრულად გადასცემოდა შპს „ახალი ვაზისუბანს“ (ს/ნ: 405675899), ხოლო თავის მხრივ, შპს „ახალი ვაზისუბანი“ აცხადებდა თანახმობას, რომ სრულად შეასრულებდა შპს „ჯივიაი მოტორს ჯორჯიას“ მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. ამასთან, შპს „ახალი ვაზისუბნის“ (ს/ნ: 405675899) მიერ, სააგენტოს სასარგებლოდ, აგრეთვე, წარდგენილ იქნა 4 500 000 (ოთხი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობის (სს „ბაზისბანკის“ - ს/ნ: 203841833 მიერ 2024 წლის 14 თებერვლის თარიღით შპს „ახალი ვაზისუბნის“ - ს/ნ: 405675899 სახელზე გაცემული ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია # 291095) უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია - ინტერესთა გამოხატვაში წარმოდგენილი წინადადების (შეთავაზების), ინტერესთა გამოხატვის საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი შესაბამისი ვალდებულებების (მათ შორის: უძრავ ქონებაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების (საჭიროების შემთხვევაში), შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვების, ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირთა მომავალი საკუთრების/საკუთრების უფლების რეგისტრაციის და ამ ვალდებულებების შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადამდე შესასრულებელი ყველა სხვა ვალდებულების) განსაზღვრულ ვადაში შესრულების უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს 2024 წლის 21 თებერვლის N61-01240521966 წერილით ინტერესთა გამოხატვიდან გამომდინარე გამარჯვებული პირის უფლებები და ვალდებულებები სრულად გადაეცა შპს „ახალი ვაზისუბანს“ (ს/ნ: 405675899) და ამავე ინტერესთა გამოხატვაში, სააგენტოს 2024 წლის 29 იანვრის №61-0124029639 წერილით გამოვლენილი გამარჯვებული სუბიექტი - შპს „ჯივიაი მოტორს ჯორჯია“ (ს/ნ: 400210758) - ჩანაცვლდა შპს „ახალი ვაზისუბნით“ (ს/ნ: 405675899).

მარიამ კვერნაძის განმარტებით, დღეის მდგომარეობით, სააგენტოში ამოიწურა იმ კოოპერატივის წევრთა სია, ვისაც მიმართული აქვს, თანახმაა შეთავაზებული პროექტებიდან დაკმაყოფილებაზე და სხვა საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად, წარდგენილი აქვს სარეიტინგო ქულის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტი. შესაბამისად, მოცემულ პროექტში, პირთა ნაწილი შერჩეულ იქნა სარეიტინგო ქულის გათვალისწინებით,



ხოლო მას შემდეგ რაც ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით ამოიწურა სრულყოფილი დოკუმენტაციის მქონე კოოპერატივის წევრთა რაოდენობა, გადასაცემი ფართის სრულად ათვისების მიზნით სააგენტოს მიერ პროექტში გათვალისწინებულ იქნენ კოოპერატივის ის წევრები, რომლებსაც სიის ფორმირების ეტაპზე წარმოდგენილი ჰქონდათ შესაბამისი დოკუმენტაცია სრულად. ჯამურად, აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა კოოპერატივის 48 წევრის დაკმაყოფილებას.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული მიზეზით, მოცემულ ეტაპზე ვერ განხორციელდა გადასაცემი ფართის (6000 კვ.მ-ის) სრულად კოოპერატივის წევრებზე გადანაწილება, რის გამოც, კოოპერატივის წევრების გადაცემი ფართი ჯამურად შეადგენს - 3 397.74 კვ.მ-ს, ხოლო 2 602.26 კვ.მ-ის ფართის მიმღებ პირად განისაზღვრება მუნიციპალიტეტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება **(ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის N24.1184.1334 განკარგულება) N01.17.06.014.050** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7 035 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებითა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობებით, საკუთრებაში გადაეცეს ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებს და ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებულ პირის - შპს „ახალი ვაზისუბნს“ (ს/ნ: 405675899)). საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს სიმბოლური ფასით - 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

განკარგულების დანართი N1-ის მე-3, მე-8, მე-19 და 41-ე პუნქტებით გათვალისწინებულ პირებს: მარიამ ღვინიაშვილს (პ.ნ: 01001029713), ნინო შუმტაკაშვილს (პ.ნ: 25001004000), დალი გოგიძეს (პ.ნ: 01009016410) და დავით ინდუაშვილს (პ.ნ: 01019032195) კოოპერატიული ბინათმშენებლობიდან გამომდინარე, საკუთრებაში აქვთ მიღებული უძრავი ქონება. მათ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რომლითაც, აღნიშნული პირები, ქ. თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბნის IIა, კორპუსი N27-ის მიმდებარედ, N01.17.06.014.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 7 035 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთიდან განსაზღვრული წილის საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, მოგვიანებით, კომპანიის მიერ, ამავე მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში შესაბამისი ფართის (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით, უარს ამბობენ ქ. თბილისში, შალვა ჯაფარიძის შესახვევი N3, N01.12.01.005.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3054 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (შენობა-ნაგებობიდან) მათ კუთვნილ წილზე სრულად და აღნიშნული მიწის ნაკვეთი, მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ მოთხოვნასა და უფლებასთან ერთად, უფლებრივად და უნაკლო მდგომარეობაში, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, თანხმობა ეძლევა „ქალაქ თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბნის IIა, კორპუსი N27-ის მიმდებარედ, N01.17.06.014.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7 035 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ახალი ვაზისუბნისთვის“ (ს/ნ: 405675899) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის N24.1184.1334 განკარგულებით** გათვალისწინებული ქ. თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბნის IIა, კორპუსი N27-ის მიმდებარედ N01.17.06.014.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული - 7 035 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ამ განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულ პირთათვის და - შპს „ახალი ვაზისუბანისთვის“ (ს/ნ: 405675899), სიმბოლურ თანხად - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის აღნიშნული განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

**მომხრე-6**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის N128-142-ის მიმდებარედ არსებული 756 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.13.08.009.074) 3 კვ.მ საერთო ფართობის ორი მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კაფე საფორესთვის“ (ს/ნ 204550057) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.



**მარიამ კვერცხიძის** მოხსენებით, შპს „კაფე საფორეს“ (ს/ნ: 204550057) გადაეცემა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის N128-142-ის მიმდებარედ არსებული 756 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.13.08.009.074) 1.5 კვმ ფართობის ორი მიწის ნაკვეთი (საერთო ფართობი: 3 კვ.მ) იჯარით, ღია კაფეს მოსაწყობად, 5 წლის ვადით. განცხადებით წარმოდგენილი ქირავნობის ხელშეკრულების მიხედვით, აღნიშნული კომპანია ქირავნობის უფლებით ფლობს მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი: N01.13.08.009.024.04.001), 2026 წლის 30 მარტამდე.

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის წერილით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილ იქნა ქ. თბილისის მერიამი მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 23.05.2024წ. გადაწყვეტილება, რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა 1.5 კვ.მ. ფართობის ორი მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხს.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 12.06.2024წ. N003837324 დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 10 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 720 ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი მიწის ნაკვეთების აღნიშნული კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 2026 წლის 30 მარტამდე ვადით, ნაცვლად მოთხოვნილი 5 წლის ვადისა, საერთო წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 720 ლარის ოდენობით.

**მომხრე-6**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი N10-ის მიმდებარედ არსებული 400 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.476) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**მარიამ კვერცხიძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს წერილებით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნმა, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი N10-ის მიმდებარედ არსებული 613 კვ.მ მიწის ნაკვეთის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში სამრელო სკოლის მშენებლობის მიზნით.

საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შესაძლებლად მიაჩნია მითითებული მიწის ნაკვეთის განკარგვა (გადაცემა) აღნიშნული მიზნობრიობით, მიწის ნაკვეთის შესაბამისი კონფიგურაციის განსაზღვრით. კერძოდ, არსებული გზისთვის 8,5 მეტრი სიგანის, მათ შორის, საფეხმავლო სივრცის გათვალისწინებით. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ, წერილობითი რეკომენდაციით მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი N10-ის მიმდებარედ არსებული 400 კვ.მ მიწის ნაკვეთის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადაცემა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციის გათვალისწინების პირობით.

თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ, წარმოდგენილი დოკუმენტაციების შესაბამისად, მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის მიმართვის შემდგომ განახორციელა მითითებული 400 კვ.მ მიწის ნაკვეთის N01.17.10.002.476 საკადასტრო კოდით რეგისტრაცია.

წარმოდგენილი პროექტით განიხილება გამიჯვნის შედეგად წარმოქმნილი, N01.17.10.002.476 საკადასტრო ერთეულის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემის საკითხი.

**მომხრე-6**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N115-ის მიმდებარედ არსებული 184 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.10.002.014) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო



ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**მარიამ კვერნაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 8 სექტემბრის წერილით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნმა, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N115-ში არსებული N01.18.10.002.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ნაწილის (196 კვ.მ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შესაძლებლად მიაჩნია მითითებული მიწის ნაკვეთის განკარგვა (გადაცემა) აღნიშნული მიზნობრიობით, მიწის ნაკვეთის შესაბამისი კონფიგურაციის განსაზღვრით. კერძოდ, სასაფლაოსთან მისასვლელი ფაქტობრივი გზის შენარჩუნების პირობით.

ამასთან, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ 2024 წლის 27 მაისის წერილობითი რეკომენდაციით მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N115-ში არსებული N01.18.10.002.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ნაწილის (196 კვ.მ) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადაცემა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციის გათვალისწინების პირობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ, წარმოდგენილი დოკუმენტაციების შესაბამისად, 2024 წლის 18 ივნისს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის მიმართვის შემდგომ განახორციელა 184 კვ.მ მიწის ნაკვეთის N01.18.10.002.014 საკადასტრო კოდით რეგისტრაცია.

წარმოდგენილი პროექტით განიხილება გამიჯვნის შედეგად წარმოქმნილი, N01.18.10.002.014 საკადასტრო ერთეულის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემის საკითხი.

**მომხრე-6**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N19-ის მიმდებარედ/ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N15-21-ის მიმდებარედ 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.007.061) პირდაპირი განკარგვის წესით ბესიკ მემანიშვილისთვის (პ/ნ: N01003015002) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

**მარიამ კვერნაძის მოხსენებით,** სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებით მომართა ბესიკ მემანიშვილმა (პ/ნ: N01003015002) და ითხოვა ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N19-ის მიმდებარედ 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.14.007.029) განმეორებით იჯარის გადაცემა მიწის ნაკვეთზე არსებული კიბის უჯრედის შემდგომი გამოყენების მიზნით. აღნიშნულ პირს, მიწის ნაკვეთი მიღებული ჰქონდა აღნაგობის უფლებით, მის საკუთრებაში არსებულ ფართში (ს/კ: 01.10.14.007.005.01.501) კიბის მოწყობის მიზნით იჯარას გაუვიდა ვადა. აღნიშნული ტერიტორიის ადგილზე აზომვის შედეგად 8 კვ.მ-ის ნაცვლად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა 11 კვ.მ მიწის ნაკვეთი N012.10.14.007.061 საკადასტრო კოდით.

მოთხოვნილი 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განმეორებით იჯარით გაცემასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი წერილით, აღნიშნული სამსახური არ არის მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 10.06.2024წ. N003729424 დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 5 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1 584 ლარის ოდენობით.

**მომხრე-6**



**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.030) 50 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ქ.თბილისში, ფხოვის ქუჩა N6-ის მიმდებარედ არსებული 51 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.038) 46 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჰანი ჰაივისთვის“ (ს/ნ: 405672375) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

**მარიამ კვერნაძის მოხსენებით,** წარმოდგენილი პროექტით, განიხილება შპს „ჰანი ჰაივისთვის“ (ს/ნ: 405672375) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15/04.020.030) 50 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ქ.თბილისში, ფხოვის ქუჩა N6-ის მიმდებარედ არსებული 51 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.038) 46 კვ.მ მიწის ნაკვეთის, ამ განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად, 2029 წლის 26 იანვრამდე ვადით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 28 800 (ოცდარვა ათას რვაასი) ლარით.

**მომხრე-6**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა N27-ის მიმდებარედ არსებული 319 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.044.017) 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვინეროსთვის“ (ს/ნ: 405573062) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

**მარიამ კვერნაძის მოხსენებით,** წარმოდგენილი პროექტით, შპს „ვინეროსთვის“ (ს/ნ: 405573062) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, უძრავი ქონების: „ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა N27-ის მიმდებარედ არსებული 319 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.044.017) ამ განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზზე მონიშნული 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის 2025 წლის 1 ნოემბრამდე ვადით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 300 (სამასი) ლარით.

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანიის სარგებლობაშია ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა N27/ანტონ კათალიკოსის ქუჩა N15-ში, 1 სართულზე არსებული 33.10 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: 01.18.03.044.012.01.525).

**მომხრე-6**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე**



**ირაკლი ხელაძე**